გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს

კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება მოტივირებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმის პრინციპის აღიარებით, შესაბამის ქმედებათა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით მოახდინოს ამ კანონპროექტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ამნისტირება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ან/და მსჯავრდებული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებას, რომლებიც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ან/და მსჯავრდებულნი არიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე, 129-ე, 193-ე, 195-ე, 196-ე, 203-ე, 207-ე, 211-ე, 213-ე, 216-ე, 219-ე, 243-ე, 259-ე, 272-ე, 279-ე, 303-ე, 344-ე, 344[1]-ე, 360-ე, 361-ე, 384-ე, 385-ე, 386-ე, 387-ე მუხლებით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, 188-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 192-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-200 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, 276-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით.

ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია სასჯელის მოუხდელი ნაწილის განახევრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებული პირებისათვის, რომლებმაც ჩაიდინეს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის შეძენა, შენახვა ან გადაზიდვა, 273-ე მუხლით მსჯავრდებულ პირებისა და 276-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით მსჯავრდებული პირებისათვის. გარდა ამისა, სასჯელი გაუნახევრდებათ ასევე იმ პირებს, რომელთა მიმართ ამ კანონის მიღების დროისთვის, მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ანდა სასამართლო განხილვა ამ დანაშაულებთან დაკავშირებით.

დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა ჩადენისთვისაც კანონმდებელი არ ავრცელებს წარმოდგენილი პროექტის მოქმედებას, შერჩეულია დანაშაულთა სიმძიმის ხარისხისა და იმის მიხედვით, თუ რამდენად აქტუალურია მოცემული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ძირითად ეს დანაშაულებია: ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მზიმე დაზიანება, ნივთის დაზიანება და განადგურება, სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა და ა.შ. ბუნებრივია, კანონის მიზანი ვერ იქნება ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის მხედველობაში მიუღებლად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების **დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

მისი მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის თანამხად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს პრეზიდენტი